სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2013 – 2014 სასწავლო წელს სტუდენტთა შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-22 მუხლის, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 და 33-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული “უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის” მე-2 მუხლის შესაბამისად 2013-2014 სასწავლო წელს შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ზამთრის სასესიო პერიოდის ვადების გათვალისწინებით:
   ა) სტუდენტთა შიდა მობილობის შესახებ განცხადებების მიღების ბოლო ვადად განისაზღვროს 2014 წლის 11 თებერვალი;
   ბ) შიდა მობილობის პროცესი დასრულდეს 2014 წლის 14 თებერვალს;

2. გაზაფხულის სასესიო პერიოდის ვადების გათვალისწინებით:
   ა) სტუდენტთა შიდა მობილობის შესახებ განცხადებების მიღების ბოლო ვადად განისაზღვროს 2014 წლის 24 ივლისი;
   ბ) შიდა მობილობის პროცესი დასრულდეს 2014 წლის 29 ივლისს;

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანება დაეგზავნოს: ვიცე-რექტორებს: (კ. ჭელიძეს, რ. ბერიაშვილს,) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს (ი. კვაჭაძეს), სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტს (რ. რუხაძეს), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ზ. ტალახაძეს), მედიცინის ფაკულტეტს (თ. ჩიქოვანს), სტომატოლოგიის ფაკულტეტს (ს. მღებრიშვილს),

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტს (ბ. ზურაშვილს), ფარმაციის ფაკულტეტს (დ. ბერაშვილი), ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტს (ლ. მასხულია), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს (მ. ჯღარკავას).

5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების თსსუ-ს ვებ- გვერდზე განთავსება.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი